



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 238

ქალაქი ქუთაისი 24 თებერვალი 2016 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის
25 თებერვლის N116 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მეორე პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

მუხლი 1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის N116 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმას დაემატოს N622 და N623 პუნქტები თანდართული რედაქციით.

/დანართი განკარგულებას თან ერთვის/

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის N319 პუნქტის გასწვრივ, მე-6 სვეტში, ჩანაწერი: „364500“, შეიცვალოს ჩანაწერთ: „290000“.

მუხლი 2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის

მოადგილე

ნიკოლოზ ლატარია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და
სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმა

№	ქონების დასახელება	მისამართი	ფართობი (კვ.მ.)	სარეგისტრაციო ნომერი	საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარი)	აუქციონით განკარგვის ფორმა (პირობით ან უპირობოდ)	სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა
1	2	3	4	5	6	7	8
622	შენობა-ნაგებობა	ქ. შარტავას ქუჩა N 2-38	1881 კვ.მ.-მიწა 34,30 კვ.მ.-შენობა	03.01.24.329.01.501	13600	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში
623	შენობა-ნაგებობა	ჰერმან გმაინერის ქუჩა N2-ის აღმოსავლეთით	3115 კვ.მ - მიწა ფარდული: N 1-49,49 კვ.მ; სან. კვანძი: N 2-9,42 კვ.მ; ბარი: N3-38,86 კვ.მ; სამზარეულო: N4-30,52 კვ.მ; დარბაზი: N 5-46,63 კვ.მ; ფარდულები: N6 -8,22 კვ.მ; N 7-22,09 კვ.მ; N 8-12,31 კვ.მ; N9-15,48 კვ.მ; N10-10,59 კვ.მ; N11-16,41 კვ.მ; დარბაზი: N 12-64,93 კვ.მ; სცენა: N 13-87,95 კვ.მ; ფარდულები: N 14-5,18 კვ.მ; N 15-5,19 კვ.მ; N16-5,55 კვ.მ; N17-5,24 კვ.მ; N18-6,26 კვ.მ; N 19-6,26 კვ.მ; N 20-18,18 კვ.მ;	03.06.27.197	109000	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში

საკრებულოს თავმჯდომარის

მოადგილე

ნიკოლოზ ლატარია